ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №148

ქ. ბათუმი, 12 თებერვალი 2019 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის N37 დადგენილების, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის №2 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) პრივატიზებისათვის, თანახმად დანართი 1-ისა.

2. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართი 2-ისა.

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

4. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადების განთავსება ვებგვერდზე - www.eauction.ge.

5. წინამდებარე ბრძანება (ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე - www.batumi.ge.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან სამი წლის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი 1

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2019 წლის 12 თებერვლის
N148 ბრძანების

საპრივატიზებო ობიექტები

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვმ)	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)
1	ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №13ა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.25.05.217	102,00	**27 650**
2	ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №6-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.01.773	51,00	**12 800**
3	ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №61	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.24.07.131	11,00	**3 600**
4	ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი II ჩიხი, №5ა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.02.115	58,00	**7 000**
5	ქ. ბათუმი, დასახლება ადლია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.15.146	371,00	**51 460**
6	ქ. ბათუმი, კაკაბაძის ქ. №26გ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.21.468	149,00	**23 100**
7	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №241ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.24.236	63,00	**6 000**
8	ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №66	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.58.038	91,00	**20 200**
9	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №75	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.20.060	81,00	**13 760**
10	ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.23.971	16,00	**1 765**
11	ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.23.975	18,00	**1 985**
12	ქ. ბათუმი, გრიბოედოვი #66/ბაგრატიონი №148	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.41.022	15,00	**3 060**
13	ქ. ბათუმი, სამხედრო დასახლება I, სახლი 24-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.10.211	133,00	**7 700**
14	ქ. ბათუმი, შავშეთის ქუჩა, ყოფილი ციტრუსკომბინატის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.24.102	54,00	**11 000**
15	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №241ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.24.298	13,00	**1 240**

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვმ)	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)
16	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.№176/178/180/182	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.23.13.045	34,00	**12 700**
17	ქ. ბათუმი, ბაღის ქ.№10-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.34.25.784	119,00	**15 000**
18	ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.24.062	433,00	**99 000**

დანართი 2

დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2019 წლის 12 თებერვლის
N148 ბრძანების

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისშესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს პირობებიან ელექტრონულ აუქციონს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებისათვის, შემდეგი პირობებით:

№	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვმ)	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	ბე/საგარანტიო თანხა (ლარი)	ვაჭრობის ბიჯი (ლარი)	შენიშვნა / ინფორმაცია უფლებრივი/ნივთობრივი ნაკლის შესახებ
1	ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №13ა	05.25.05.217	102,00	**27 650,00**	**8 300,00**	**2 000,00**	_____
2	ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №6-ის მიმდებარედ	05.31.01.773	51,00	**12 800,00**	**7 680,00**	**1 000,00**	მიწის ნაკვეთი დაკავებულია თვითნებურად სხვა პირის მიერ - განთავსებულია შენობა
3	ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №61	05.24.07.131	11,00	**3 600,00**	**2 160,00**	**500,00**	_____
4	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი II ჩიხი, №5ა	05.32.02.115	58,00	**7 000,00**	**4 200,00**	**800,00**	მიწის ნაკვეთი დაკავებულია თვითნებურად სხვა პირის მიერ - განთავსებულია შენობა
5	ქ. ბათუმი, დასახლება ადლია	05.32.15.146	371,00	**51 460,00**	**15 500,00**	**2 000,00**	_____
6	ქ. ბათუმი, კაკაბაძის ქ. №26გ-ს მიმდებარედ	05.32.21.468	149,00	**23 100,00**	**7 000,00**	**2 000,00**	მიწის ნაკვეთი დაკავებულია თვითნებურად სხვა პირის მიერ - განთავსებულია შენობა
7	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №241ა-ს მიმდებარედ	05.32.24.236	63,00	**6 000,00**	**3 600,00**	**800,00**	_____
8	ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №66	05.28.58.038	91,00	**20 200,00**	**6 100,00**	**2 000,00**	_____
9	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №75	05.27.20.060	81,00	**13 760,00**	**8 256,00**	**1 000,00**	_____

10	ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური	05.35.23.971	16,00	**1 765,00**	**1 059,00**	**300,00**	_____
11	ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური	05.35.23.975	18,00	**1 985,00**	**1 191,00**	**300,00**	_____
12	ქ. ბათუმი, გრიბოედოვი #66/ბაგრატიონი №148	05.27.41.022	15,00	**3 060,00**	**1 836,00**	**500,00**	საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ 2627 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.27.41.007) მიმდინარეობს შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია და საპრივატიზებო ნაკვეთის მხარეს ლიფტის მოწყობა (შშმ პირების სარგებლობისათვის). შესაბამისად, აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნას საპრივატიზებო მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დროს
13	ქ. ბათუმი, სამხედრო დასახლება I, სახლი 24-ის მიმდებარედ	05.30.10.211	133,00	**7 700,00**	**4 620,00**	**800,00**	_____
14	ქ. ბათუმი, შავშეთის ქუჩა, ყოფილი ციტრუსკომბინატის მიმდებარედ	05.29.24.102	54,00	**11 000,00**	**6 600,00**	**1 000,00**	_____
15	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №241ა-ს მიმდებარედ	05.32.24.298	13,00	**1 240,00**	**744,00**	**300,00**	_____
16	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.№176/178/180/182	05.23.13.045	34,00	**12 700,00**	**7 620,00**	**1 000,00**	_____
17	ქ. ბათუმი, ბაღის ქ.№10-ის მიმდებარედ	05.34.25.784	119,00	**15 000,00**	**9 000,00**	**1 000,00**	_____
18	ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა	05.27.24.062	433,00	**99 000,00**	**29 700,00**	**2 000,00**	_____

- უძრავი ქონების პრივატიზების (საკუთრებაში გადაცემა) ფორმა: პირობებიანი ელექტრონული აუქციონი;
- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში მონაწილეობის მსურველი ბეს ნაცვლად წარმოადგენს უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, მისი მოქმედების ვადა არანაკლებ 15 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის ვადას.
- **სააუქციონო პირობა**: შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით (არსებული საზღვრებით, ფართობით), ასევე მიწის გაყოფისას შემცირებულ ფართობზე, მშენებლობის უფლების გარეშე. მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ აუქციონზე შეძენილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (ნაკვეთებთან) გაერთიანების შემთხვევაში.

- აუქციონში მონაწილეობის მიღებით აუქციონის მონაწილე ადასტურებს, რომ ის იღებს ვალდებულებას გამარჯვების შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილოს გამოცხადებული სააუქციონო პირობები.
- აუქციონში გამარჯვების პირობა: მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საპრივატიზებო საფასურს, არანაკლებ ერთი ბიჯისა (ქონება ითვლება პრივატიზირებულად ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეზე).
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონში გამარჯვების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში გამოცხადდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურში და ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად წარმოად-გინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 15 კალენდა-რული დღის ვადაში. აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს სრულად დადგენილ ვადებში.
- აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი ბე/საგარანტიო თანხა ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს (სრულ ღირებულებას) და საგარანტიო თანხას/„ბე-ს“ ოდენობას შორის არსებული სხვაობის დადგენილ ვადებში სრულად გადახდის შემთხვევაში, ხოლო, თუ წარმოდგენილია საბანკო გარანტია (საგარანტიო ფურცელი), საბანკო გარანტია უბრუნდება უკან, მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდის შემთხვევაში.
- აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2019 წლის 12 თებერვალს 16:00 საათზე და სრულდება 2019 წლის 27 თებერვალს 12:00 საათზე.
- ელექტრონული აუქციონი ჩატარდება სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალზე - www.eauction.ge
- აუქციონის მონაწილეს უფლება აქვს დაათვალიეროს საპრივატიზებო ობიექტი.
- დაინტერესებულ პირს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლია მიმართოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს (მის. ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10; ტელ: (0422) 24 63 15; 24 63 06; 577 08 09 92; საკონტაქტო პირი - რუსუდან ჟოჟაძე).

აუქციონში მონაწილეობის პირობები და აუქციონის ჩატარების წესი

(შედგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად.

1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

1.1. ელექტრონული აუქციონის ფორმით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) ქონების (გარდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა) შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას - კანონით განსაზღვრული პირი.

1.2. ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების/საკუთრებაში არსებული აქციების და წილების სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

1.3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) ვებგვერდზე www.eauction.ge დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები); ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება.

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;
დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად). აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ქონების პრივატიზებისთვის/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემისთვის მოწყობილ ელექტრონულ აუქციონში, „ბე“ უნდა გადაიხადოს ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია წარმოადგინოს/გააქტიუროს (ელექტრონულად) თითოეული ქონებისათვის ცალ-ცალკე.
1.4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება, უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია „1.3.“ პუნქტის მოთხოვნები.

2. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი
2.1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, რომელიც აკმაყოფილებს „1.3.“ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატების შემთხვევაში, იძენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსს
2.2. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.
2.3. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.
2.4. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.
2.5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გაყიდულად (სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულად) აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.
2.6. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.
2.7. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე), გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.
2.8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, ელექტრონული გზით, ეცნობება საბოლოო ღირებულების სრულად გადახდის თარიღი და ქონების გადაცემის პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ბე აუქციონში დამარცხებულს უბრუნდება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე, ხოლო საბანკო გარანტია დამარცხებულს უბრუნდება მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
2.9. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, დადგენილი წესით, გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
2.10. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;
ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.
2.11. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე, აგრეთვე, სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“განსაზღვრული წესი და პირობები.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. აუქციონატორი (მუნიციპალიტეტი) უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს შეცვალოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი და ელექტრონული აუქციონის პირობები (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) და განათავსოს შესაბამის ვებგვერდზე;
ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან აუქციონატორს;
გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით; დ) ელექტრონული აუქციონის პროცესში რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.
3.2. აუქციონატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უბრუნდება ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, თუ შეცვლილი წესითა და ელექტრონული აუქციონის პირობებით (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) აღარ სურს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა.
3.3. აუქციონატორი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით, გადასცეს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს საკუთრების უფლება ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – საკუთრების უფლება ვალდებულებებთან ერთად).
3.4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი უფლებამოსილია: ა) შეიძინოს მუნიციპალიტეტის ქონება;
ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.
3.5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია:
ა) დაიცვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესები;
ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში, დადგენილი წესით დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.

4. ანგარიშსწორება

4.1. მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა შესაძლებელია საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა შესაძლებელია როგორც გააქტიურებით (ელექტრონულად), ასევე წარდგენის საშუალებით.

4.2. ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებგვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ლოტის სრული ღირებულების გადახდის, ასევე ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის (ლოტის სრული ღირებულების

მითითებით) და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.

4.3. მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა ხორციელდება, ამ წესის გათვალისწინებით, აუქციონატორის მიერ განსაზღვრული წესით, საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით.

4.4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ გადახდილი მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

5. გარიგების გაფორმება და ქონების მიმღების პასუხისმგებლობა

აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ქონების მიმღების ვალდებულებები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღების პასუხისმგებლობის წესი და პირობები, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის N37 დადგენილებით.